

უცხოური ქართველოლოგია

KARTVELIAN STUDIES ABROAD

ვინფრიდ ბოედერი
ოლდენბურგის უნივერსიტეტი

ძველი ქართული ანბანის ანალიზისათვის*

დაახლოებით საუკუნეა, ცდილობენ ნათელი მოჰფინონ ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს.¹ მეტწილად გაზიარებულია ქართული ანბანის ბერძნულიდან ან არამეულიდან (შესაბამისად, ირანულიდან) მომდინარეობა. ამ საკითხის ახლებურად განხილვას 40-იან წლებში მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ქრისტესობიდან მეორე საუკუნით დათარიღებული არმაზის (მცხეთის მახლობლად) არამეულ-ბერძნული ბილინგვის აღმოჩენამ, რომელიც არამეული დამწერლობის განსაკუთრებული ფორმით არის შესრულებული,² აგრეთვე ბეთლემის ქართული მონასტრის გათხრებისას ქართული წარწერების პოვნამ, რომლებიც მეხუთე საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება³ და ამდენად, უფრო ძველია, ვიდრე ბოლნისის სი-

* [Winfried Boeder. Zur Analyse des altgeorgischen Alphabets. In: D. Gerhardt - P. Hill - G. Kratzel (redd.): Forschung und Lehre. Abschiedsschrift zu Joh. Schröpfers Emeritierung und Festgruß zu seinem 65. Geburtstag. Hamburg: Slavisches Seminar [der Universität], 1975, 17-34]. ნაშრომი შეიქმნა გერმანული კვლევის საზოგადოებისა (Deutsche Forschungsgemeinschaft) და საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო და სპეციალური განათლების სამინისტროს მხარდაჭერით ორგანიზებული კვლევითი მივლინების დროს თბილისში. საკითხისადმი დაინტერესება გამოიწვია აკად. თამაზ გამყრელიძის მოხსენებებმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. აღნიშნული მოხსენებები დიდი პროგრესია ამ საკითხთან მიმართებაში და მოსალოდნელია შემდგომში მათი პუბლიკაცია. მადლობას ვუხდით ალექსანდრე ლლონტს [†] (თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი), რომელმაც მიმითითა ცალკეული პუბლიკაციები ამ თემასთან დაკავშირებით.

1 კვლევის ისტორიის საკმაოდ კარგ მიმოხილვას იძლევიან, მაგ., დეტერსი (Deeters 1955) და სალია (Salia 1963).

2 ამ დამწერლობის აქტუალობა ქართული დამწერლობისათვის უწინარესად სემიტოლოგმა გიორგი წერეთელმა გამოიკვლია, იხ. წერეთელი (1948-49), ოელსნერი (Oelsner 1972) სხვა ნაშრომებით.

3 მონასტრის მოზაიკური იატაკის წარწერებს გიორგი წერეთელმა 1960 წელს ფუნდამენტური მონოგრაფია მიუძღვნა, რომელიც ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია. პეტრე იბერი, მონასტრის დამაარსებელი, მეორე წარწერაში „მურვანოსად“

ონისა (493/494 წწ.) და მცხეთის ჯვრის მონასტრის (მეექვსე საუკუნის დასასრული) წარწერები.

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ საკითხის წამოჭრისას, უნდა განვიმარტოს, რა თვალსაზრისით არის პრობლემა დასმული. ნამდვილად უადგილოა, როცა ცალსახად ისმის ალტერნატიული წარმოშობის საკითხი, როგორცაა, მაგალითად, საქმე გვაქვს თუ არა „ბერძნულ ანბანთან“; თუ „სემიტური ანბანის“ (ბერძნულის გაშუალების გარეშე) ნაირსახეობასთან;⁴ ეხება თუ არა საქმე ანბანს, რომელიც საქართველოს გაქრისტიანებამდე საუკუნეებით ადრე წარმოიშვა,⁵ თუ მისი [ქრისტიანობის] პირველი ჩასახვისთანავე შეიქმნა.⁶ ანბანის შექმნასთან დაკავშირებით შესაძლოა ერთობ განსხვავებული ასპექტები იყოს ნაგულისხმევი,⁷ მაგ., ასო-ნიშანთა გრაფიკული ფორმა, მათი ფონემური შესატყვისობა, ანბანური რიგი და მათი მოხაზულობა.

კითხვის მართებულობა, მიუძღვის თუ არა წვლილი ასომთავრულის წარმოქმნაში ბერძნულს, და თუ მიუძღვის, რა თვალსაზრისით, მომდინარეობს იმ ფაქტიდან, „რომ საბერძნეთს, რომელიც იმ დროს

წოდებული, იბერიის მეფის ძე იყო. როგორც მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა იუწყება, მან ეგვიპტესა და პალესტინაში მთელი რიგი მონასტრებისა და აფუძნა. წმინდა მიწაზე ქართველთა როლის შესახებ ასევე აღსანიშნავია, რომ ქართველებმა მეხუთე საუკუნის დასასრულსა და მეექვსის დასაწყისში „ისეთ პოზიციას მიაღწიეს, რომ წმ. საბას (აღესრულა 524 წ.) ტიპიკონის მიხედვით მათ უფლება ჰქონდათ პალესტინის ყველაზე დიდ მონასტრებში „მშობლიურ ენაზე წარემართათ წირვა და სრული ლიტურგიკა, და ასევე ქართულ ენაზე წაეკითხათ საქმე წმიდათა მოციქულთა და სახარება (Tsereteli 1961: 129).“

4 პირველ ვარაუდს ემხრობიან ვიქტორ გარტჰაუზენი (Gardthausen) და კორნელი კეკელიძე (იხ. Deeters 1955: 60; Церетели 1949: 61), ხოლო მეორეს – ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი (1926). ირანულ წარმოშობას მხარს უჭერს იუნკერი (Junker 1925-26).

5 შდრ. განსაკუთრებით ჯავახიშვილი 1926 და აგრეთვე პატარიძე 1972.

6 შდრ. დეტერსის (Deeters 1955) ნაშრომი თარხნიშვილის (Tarchnichvili 1958) პოლემიკურ პასუხთან ერთად. – წერეთელს (Tsereteli 1961: 130) დამაჯერებელი დასკვნა გამოაქვს პალესტინის II და III წარწერების დათარიღებიდან: „...if Georgian writing was invented about the year 429, it is difficult to believe, that the Georgian king's son, taken away from his native land long before that, in the years 420 or 421, at the age of twelve and having broken all ties with his fatherland, could about the year 433, i.e. 5-6 years after the “invention” of the Georgian alphabet, create wonderful monuments of Georgian epigraphy in the Judaeian desert. Evidently, the tradition of writing in the Georgian language existed considerably earlier than that time, for we have no reason to think that the Georgian inscriptions from Bi'r al-Qutt represent the first attempt to fix Georgian speech in a written form.“

7 ეს ეხება აგრეთვე სომხური ანბანის შემქმნელის მიერ ქართული ანბანის შექმნის მუდმივად განხილვად ისტორიულ ცნობებს (იხ. Церетели 1949: 71): „შესაძლოა, რომ სომხურ ცნობებში მესრობ მაშტოცის მოღვაწეობის შესახებ შემორჩენილია იმ მოვლენათა გამოძახილი, რომელსაც ადგილი ჰქონდა დამწერლობის რეფორმების პროცესში საქართველოს გაქრისტიანებასთან დაკავშირებით“ ან ფარნავაზ მეფის მიერ (ქრისტესობამდე მესამე საუკუნე; იხ. Dsidsiguri 1973: 41-49, ასევე, ძიძიგური 1974: 253-269 და პატარიძე 1972) და მისთ.

წამყვანი ქვეყანა იყო, საქართველოზე გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა გაქრისტიანებასთან დაკავშირებით. ეს გავლენა შესაძლოა ასახულიყო აგრეთვე ქართული ანბანის [...] რეფორმირებაში.⁸ კერძოდ, ლიტერატურაში სახელდება შემდეგი ნიშანთვისებები, რომელთა მიხედვით ქართული ანბანი ბერძნულთან ერთად სემიტურს უპირისპირდება: წერის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ, ხმოვანთა აღნიშვნა (რომელთა ასო-ნიშნები ნაწილობრივ ფორმით ბერძნულის მსგავსია), ასო-ნიშნების რიგითობა,⁹ და ბოლოს, მოხაზულობა. წარმოვადგენთ ორი უკანასკნელი პუნქტის ცალკეული ასპექტების მცირე ანალიზს.

1. ძველი ქართული ასო-ნიშნების გრაფიკული სტრუქტურისათვის ძველი *ასომთავრული* (ან *მრგვლოვანი*) ანბანი ძველი ქართული ასო-ნიშნების გრაფიკული სტრუქტურისათვის შესაძლებელია ისე ჩაიწეროს, რომ ცალკეულმა ასო-ნიშნებმა ერთი უჯრედი, ან მისი ნახევარი შეავსონ და წაკითხვის პროცესში პრობლემა არ წარმოქმნას:

 (ორმაგი ველი) ან

--

 (ცალი ველი).¹⁰ ასო-ნიშნების შედგენა-

- 8 გიორგი წერეთლის (Церетели 1949: 69) შ. ძიძიგურთან (Dsidiguri 1973: 47) რეფერირებული თვალსაზრისი. – პრინციპში, მისი მოხაზულობიდან გამომდინარე, შესაძლებლად შესაძლებელია მხედველობაში მიღებულ იქნას რომელი ანბანის (მაგ., ავგუსტუსის პერიოდის) მაიუსკულებიც კი.
- 9 შდრ. ამასთან დაკავშირებით ასევე შანიძე (1957), სადაც განისაზღვრა სიახლოვე, ერთი მხრივ, ბერძნულსა და ქართულ ანბანებს შორის, და მეორე მხრივ, სტრუქტურულად განსხვავებულ სომხურსა და (კავკასიურ-)ალბანურ ანბანებს შორის.
- 10 ბერძნულ ანბანში ასო-ნიშანთა ველებისათვის იხ. ჰარდერი (Harder 1942: 98): „ასო-ნიშანთა ფორმები გეომეტრიულ კანონებს ექვემდებარება, მართკუთხა აგებულება, მკვეთრი წრიული რკალები, სამკუთხედის ტოლფერდობა, K-ს ორივე დახრილი ხაზი შეეუღლებოდა ხაზთან სამ 60° კუთხეს ქმნის და სხვ. მსგავსი პრინციპის ზუსტი გამოხატვაა ასო-ნიშნების „სვეტიების“ წყობა. ისინი განლაგებული არიან ერთად, გაშლილად თუ მიჯრით, სტრიქონებში მკვეთრი თანმიმდევრობით, საწერი სივრცე უხილავ მართკუთხა ველებად დაყოფილი, ამდენად, თითოეულ ასო-ნიშანს თავისი საკუთარი თანაბარი ზომის სახლი აქვს, ასე ვთქვათ, თავისი გეომეტრიული ადგილი.“ – რას გულისხმობს ზუსტად მეტაფორა „სახლი“? ბერძნულსა და ქართულ ანბანებში თანაფარდი სიმალლე (რასაც პატარიძე (1972, 3: 156; 163) „მონუმენტური დამწერლობის“ ნიშნად მიიჩნევს) არის მოცემული ასო-ნიშნის დამატებითი ზომების ამოსავალი სიდიდე. რაც ნიშნავს, რომ წრფეთა და ნახევარკალის დიამეტრის სიგრძე ზედა და ქვედა ხაზების დაშორებასთან მიმართებით განისაზღვრება, მაგ., როგორც ნახევარი სიმალლე. მაგრამ სხვა მხრივ განსხვავებაა ქართულ და ბერძნულ ასო-ნიშნებს შორის: ბერძნული ასო-ნიშანი წრფისა და კუთხის გეომეტრიული საშუალებებით აიგება (მაგ., „ტოლფერდა სამკუთხედი“ Δ-ს შემთხვევაში), მაშინ, როდესაც კუთხე ქართულ ანბანში არანაირ როლს არ თამაშობს (– შესაძლოა გარდა ჯანისა?). ამ შემთხვევაში კი თავს იჩენს კუთხის ნაცვლად შევული ხაზი, რომლის პოზიციაზე ასომთავრულის უმეტეს ასო-ნიშანთა შემთხვევაში უკვე იყო მსჯელობა (იხ. ზემოთ „სიტყარბის პირობები“; შდრ. პატარიძე 1972, 3: 165). ეს ხაზი წარმოადგენს ასო-ნიშნის წარმომქმნელ საშუალებას მარცხნიდან მარჯვნივ მიერთებით; სხვა

ში მონაწილეობს ორივე ელემენტი | და Ⴀ . წრე შესაძლოა წარმოიქმნას როგორც ორი ნახევარკალის კომბინაცია. ამისი და მხოლოდ ამ ამოსავალი ელემენტების მტკიცებისას ამოვდივარ იქიდან, რომ არსებობს ასო-ნიშნები, რომლებიც ერთმანეთისაგან | და Ⴀ-ით განსხვავდებიან, მაგრამ არ მოიძიება ასო-ნიშნები, რომლებიც განსხვავდება სხვა ელემენტებით.¹¹ ეს შეიძლება მარტივად იმ ასო-ნიშნებ-

დანარჩენი ხაზები ერთგვარად მარცხნივ ან მარჯვნივ ერთვის შევეულ ხაზებს. ბერძნული ასო-ნიშნების ფორმირება კუთხის გამო მოუხერხებელია მარცხნიდან მარჯვნივ მათი ნაწილების მიერთებით, არამედ მათი აგება შესაძლებელია **შუიდან** გეომეტრიული მეთოდებით. ამასთან მიმართებით ინტერესს იწვევს, რომ ბერძნული ასო-ნიშნები, ისევე როგორც ქართული, სიმეტრიით არ განსხვავდებიან **ერთმანეთისგან** (იხ. ზემოთ), მაგრამ ისინი, ქართულის საპირისპიროდ, თითქმის ყველა შინაგანად სიმეტრიულია, კერძოდ კი, ვერტიკალური ღერძის გარშემო: Δ, Λ, Μ, Υ, Χ, Ψ, Η, Ι, Ξ, Π, Τ, Ο, Θ, Φ, Ω ან ჰორიზონტალური ღერძის გარშემო: Κ, Σ, Ε, Β ან დიაგონალურად: Ν, Ζ. ასიმეტრიულია მხოლოდ: Γ, Ρ. ამის საპირისპიროდ მეტად მრავალრიცხოვანი ქართული ასო-ნიშნებიდან მხოლოდ Ⴀ, Ⴁ, Ⴂ, Ⴃ, Ⴄ არის ცალსახად სიმეტრიული. (პატარიძე 1972, 3: 164 ცნებებს „სიმეტრია“ და „პროპორცია“ **ორივე** ანბანის შემთხვევაში იყენებს.) – ორივე ანბანში „სახლზე“ როგორც გარეგან საზღვარზე, მხოლოდ იმ მოსაზრებით შეიძლება მსჯელობა, რომ ზედა და ქვედა ზღვრები მყარია, სადაც *ასომთავრული* ზედა საზღვარს გრაფიკულად ხაზს უსვამს (პატარიძე 1972, 3: 163; იხ. „სიჭარბის პირობები“). წინამდებარე ანალიზში ველი, როგორც გარე ზღვარი, სიმარტივის გამო იქნა აღწერილი, რადგან საქმე ეხებოდა უწინარესად ცალკეული ასო-ნიშნის გამოხატვის სტილისტურ ფორმას. ზედა და ქვედა მსაზღვრელი ხაზის გამოკლებით, ველი არის „წერის წესებზე მიმართული სიდიდის“ და მარცხნიდან მარჯვნივ კონსტრუქციის გამოხატვის ალტერნატიული ფორმა, რომელიც ცალკეული ასო-ნიშნისთვის შესაძლოა რიგითად დალაგებული წესების კონკრეტულ ფორმას გულისხმობდეს (შდრ. „collation rule“-ის ცნება იდენტან (Eden 1961: 85). – ველები ამას გარდა პრაქტიკული მიზნითაც გამოიყენება. ასო-ნიშნითა როგორც ოპტიკური ერთეულების განმასხვავებელი ნიშნების გამოსაკვლევა შესაძლოა უფრო მეტი ველი იყოს საჭირო (Guseva 1973). – სხვა კონტექსტში ველებს მარეგულირებელი ფუნქცია აქვს: ანბანის შემსწავლელთა სახელმძღვანელოში *დედა ენა* (‘დედა ენა’ პირველი წიგნი, გამოცემული 1876 წელს, რომლის ავტორია გამოჩენილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი) თავდაპირველად მოცემულია „უჯრები“ (უჯრედი; ამ ტერმინს იყენებს აგრეთვე რ. პატარიძე (პატარიძე 1972, 3: 164) ბერძნული ასო-ნიშნების „მოთავსების“ მიზნით; ჰარდერის მიხედვით შესაძლებელია ასევე ტერმინის „სახლი“ გამოყენება), რომელშიც ქართველმა ბავშვებმა ასო-ნიშნები უნდა ჩაწერონ, როგორცაა:

ბ ა ყ ა ყ ი ნ ყ ა

აქ მიზნად ისახავენ, რომ ბავშვმა სიმეტრიულად წეროს, ასო-ნიშნებისა და მათ შორის მანძილის პროპორციები დაიცვას და ნორმა დააკმაყოფილოს, რომელიც წაკითხვადობას გააუმჯობესებს და ამას გარდა ესთეტიკურ მოთხოვნებს მიუსადაგებს. კონსტრუირების სწავლა მარცხნიდან მარჯვნივ უფრო ძნელია, ვიდრე მოცემული ველების შევსება („უჯრების“ ფუნქციისათვის იხ. ასევე მოსიავა-ხოჯავა 1955: 11. იხ. შემდეგ).

11 იდენი (Eden 1961), რომელიც ინგლისური ხელნაწერის მათემატიკურ ანალიზს იძლევა, რაც პრინციპში აქ მოცემული ანალიზის მსგავსია, ძირითად ელემენტებს „სეგმენტებს“ უწოდებს და რ. იაკობსონისა და მ. ჰალეს განმასხვავებელი

ზე განიმარტოს, რომლებიც სხვაშია „ჩართული“¹²: 1 7 -სა და 1 -ში, უკანასკნელი 7-სა და 7-ში; 9 9-ში, 8-ში, 9-სა და 9-ში; 8 8-ში; 4 4-ში; 5 5-ში. ბერძნულ ანბანში მსგავსი ანალიზი შესაძლებელია | და U ელემენტებში. თვალშისაცემია, რომ ქართული ანბანი ბერძნულის საპირისპიროდ ცნობს ღია ნახევარკალს. ხაზი და წრე არის ფიგურები, რომლებიც ფარგლითა და სახაზავით იხაზება, ანუ გეომეტრიის ძირითადი ფიგურები.¹³ – ორივე ძირითადი ელემენტი სხვადასხვა მდებარეობაში ჩნდება: |, —, 0, U, C, D. ბერძნულ ანბანში ერთადერთ ასო-ნიშანთან, სახელდობრ X-თან, გვხვდება /, შესაბამისად, \ მდებარეობა, რომელიც ხშირია ბერძნულ ანბანში (შდრ. A, Δ, Λ, X, Z, K, M, N, Σ, Y, Ψ); იხ. პატარიძე 1972,3: 162). შემდეგ არის პოზიციები მარცხ[ნივ], მარჯ[ვნივ], მ[ალლა], დ[აბლა], შ[უაში], რომლებიც დასახელებული ორმაგი ველის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ შუახაზზე იკავებენ პოზიციებს. ეს ნიშნავს, რომ ასო-ნიშნების აღწერა მომდინარეობს მუდმივად ორმაგი ველიდან, მაშინაც კი, თუკი მარცხენა და მარჯვენა ნახევარი ცარიელი რჩება. მდებარეობები და პოზიციები აშკარად განმასხვავებელია იმ თვალსაზრისით, რომ ასო-ნიშნის იდენტიფიცირებისათვის ელემენტების სიმრავლის მხოლოდ მონაცემი არ არის საკმარისი. მაგრამ ერთი შემთხვევაც კი არ ფიქსირდება, რომლის ფარგლებში ორი ასო-ნიშანი მხოლოდ ერთი ელემენტის მდებარეობით ან პოზიციით განსხვავდება, მაგ., 9 და 9. (შდრ. ამ სახის ერთადერთი კონტრასტი ბერძნულ მაიუსკულში Θ და Θ, იმდენად, რამდენადაც ამ ფორმებს უდებენ საფუძვლად.)¹⁴

ნიშნების (“distinctive features”) ანალოგიაზე მიუთითებს.

12 იდენტან (Eden 1961: 83) გამოყენებულია ტერმინი „embedded“ („ჩართული“).

13 შდრ. Steele 1934. – შესაძლოა მხედველობაში იქნას მიღებული ბერძნულ ანბანში წრის ნაცვლად ნახევარკალით ოპერირება (O, Θ, Φ-ის შემთხვევაში). ეს გულისხმობს, ცხადია, ფორმებს, როგორებიცაა P და B, რომელთა დამტკიცება რთულდება.

14 უკვე ბერძენ ატომისტებთან იმპლიციტურად გვხვდება ელემენტების, მდებარეობისა და პოზიციათა მიხედვით ასო-ნიშანთა ანალიზის იდეა, რომელიც ეფუძნება, ცხადია, არა ასო-ნიშანთა ელემენტებს, არამედ ასო-ნიშნებს, როგორც ასო-ნიშანთა შემადგენელ ელემენტებს. ასო-ნიშნებსა და ატომებს ეწოდებათ სტოიქეა, ელემენტი (στοιχεῖα, *elementa*). შესაძარებელი თვისება (“Tertium comparationis”) ისაა, რომ იძლევა საშუალებას, სამყარო, შესაბამისად, ტექსტები, დაიყოს მსგავს უმცირეს ელემენტებად (შდრ. Harder 1942: 100). არისტოტელე მეტაფიზიკაში იუწყება საგანთა განსხვავებულობის სამი მიზეზის შესახებ ლევიკოპესა და დემოკრიტეს მიხედვით (რომლებიც „ელემენტებად“ მხოლოდ „სავსესა“ და „ცარიელს“ მიიჩნევენ): ταῦτα δὲ μὲν οὖν εἶναι λέγουσιν ὅτι τε καὶ τὰ ζῆναι καὶ θῆσαι • διαφέρουσιν γὰρ φασὶ τὸ ὕν ὑπὸ σφῶν καὶ διασφῆν καὶ τῶσπι μόνον • τοῦτων δὲ ὁ μὲν ὑπὸ σφῶν ὅτι ὅτι τῶσπι ἢ δὲ διασφῆν τὰ ζῆναι καὶ τῶσπι ὅτι ὅτι • διαφέρουσιν γὰρ τὸ μὲν A τοῦ N ὅτι ὅτι τῶσπι ἢ δὲ Z τοῦ N ὅτι ὅτι (985b13-18) მათი მოსაზრებით, „ესენი [სახელდობრ ნივთების განსხვავებების მიზეზები] სამია: ფორმა, წყობა, მდებარეობა, რადგან არსებული, ამბობენ ისინი, მხოლოდ მოხაზულობით, კონტაქტითა და

ყველა ელემენტი არ გვხვდება ყველანაირ მდგომარეობასა და პოზიციაში. შესაბამისად, შესაძლებელია სიჭარბის პირობების ჩამოყალიბება, რომლის დახმარებითაც ასო-ნიშანთა კონკრეტული მახასიათებლები განისაზღვრება და ამის შესაბამისად ცალკეულ ასო-ნიშანთა მინიმალური დახასიათება შესაძლებელია მკვეთრად შემცირდეს:

{1} მარცხ. → მ

რაც ნიშნავს, რომ თუ ელემენტი | ან — მარცხნივ დგას, მაშინ ის ზემოთაა. ამრიგად, არ არსებობს ასო-ნიშანი, როგორცაა † ან ‡ ან . ამ წესის შედეგი მკაცრად დახურული ზედახაზების ანაბეჭდია ასომთავრულის სტრიქონებთან. ზედა მხარეზე მდებარეობს C-თან და D-თან გრძელი ხაზები, დანარჩენ 12-თან მოკლე ხაზები მარცხნივ, მხოლოდ ერთთან (F) მარჯვნივ. ქვედა სტრიქონზე ხაზია მხოლოდ G-თან, E-თან და L-თან (შესაბამისად L!).¹⁵ – მარჯვენა მხარეს ამის საპირისპიროდ რამდენიმე პოზიციაა შესაძლებელი, რომელიც ასევე უნდა აღინიშნოს, ამ პოზიციის შემთხვევაში ნიშანი „მარჯვნივ“ თავისთავად იგულისხმება:

{1} {მ
შ
დ} → მარჯ.

ნახევარკალი მდგომარეობით C მხოლოდ მარცხნივ გვხვდება, D მდებარეობაში ეს საპირისპიროდაა:

C → მარცხ.

D → მარჯ.

რაც ნიშნავს, რომ ისეთი ასო-ნიშნები, როგორცაა D| ან |C არ არსებობს. – ნახევარკალი ისეთ პოზიციაში, როგორცაა U, გვაქვს ქვემოთ მოცემულ პოზიციაში:

U → მ

რაც ნიშნავს, რომ არ გვხვდება ისეთი ასო-ნიშნები, როგორცაა: H ან H. ისეთი ფორმები, როგორცაა G – გვიანი პერიოდის წერის ვარიანტებია, რომლებიც ანალიზისას შესაძლოა ყურადღების მიღმა დარჩეს; U და G არ არის იდენტური! – პირუკუ წესი:

U → დ

ნიმუშიდან გამომდინარე H-ის შემთხვევაში პრობლემურია, მაგრამ წერის წესების მიხედვით რამდენიმე ელემენტისათვის ცალმხრი-

ქცევით განსხვავდებაო. ამათგან მოხაზულობა – ფორმას, კონტაქტი – წყობას, ქცევა კი მდებარეობას გულისხმობს. კერძოდ, A განსხვავდება N-ისგან ფორმით, AN – NA-სგან წყობით, N – Z-ისგან მდებარეობით.“ (H. Bonitz-ის თარგმანის მიხედვით).

15 ამ მინიშნებას ვუმაღლი რამაზ პატარიძეს.

ვაა დასაბუთებული. ყოველ შემთხვევაში ისევე არ არსებობს ოპოზიცია \neg -ის შემთხვევაში ზედა და ქვედა პოზიციას შორის, როგორც \cup -ის შემთხვევაში. რაც ნიშნავს, რომ არ არსებობს ასო-ნიშნები, რომლებიც განსხვავდება \cap შესაბამისად \cup ელემენტის სიმალლით (რის გამოც რ-სთან გარკვეულ ვარიაციას ვხვდებით \mathcal{A} -სა და \mathcal{A} -ს შორის.)

სიჭარბის წესების შედეგია, რომ არ არსებობს ასო-ნიშანი, რომელიც მეორე ასო-ნიშნის ანარეკლს (მარცხნიდან მარჯვნივ ან ზემოდან ქვევით) წარმოადგენს – თვისებას, რომელიც, როგორც ჩანს, უმეტეს ანბანებში – აგრეთვე ბერძნული მაიუსკულის შემთხვევაშიც – იჩენს თავს და გრაფემების სხვადასხვა მდებარეობაში ააქტიურებს კითხვადობას (იზოლირებული ასო-ნიშანი შესაძლოა ყველა მიმართულებით იქნას წაკითხული). აქვე უნდა განვიხილოთ ის ფაქტი, რომ \mathcal{C} -სა და \mathcal{D} -ის ძირითადი ფორმები სიმეტრიულად მსგავსია, ისევე როგორც \mathcal{U} -სა და \mathcal{N} -ის ძირითადი ფორმები, მაგრამ დამატებითი კონტრასტი იქმნება გრაფიკულად მინიმალური დანამატებით. – პრობლემას წარმოადგენს \mathcal{L} -ის სიჭარბე (შდრ. შენიშვნა 10), რომელიც (გარდა \mathcal{H} -ისა და \mathcal{X} -ისა) \mathcal{C} , \mathcal{D} , \mathcal{A} , \mathcal{G} , \mathcal{Q} და \mathcal{B} -ის გარდა ყველა ასო-ნიშანში ჩნდება. წარმოქმნიან ეს ასო-ნიშნები „ბუნებრივ კლასებს“?

ბოლოს, კიდევ არსებობს წერის მთელი რიგი წესები:

ა) **ზომა**: ელემენტებს, რომელთა (მდებარეობა მოცემულია, მაგრამ მათი) პოზიცია არ არის მარკირებული, ორმაგი ველის ზომა აქვთ, მარკირებული ელემენტები ნახევარი ზომისაა.

ბ) **პოზიცია**: ელემენტი \cup თავისი კამარით ეხება ასო-ნიშნის ველის ერთ-ერთ გარე ხაზს; ეს არის ელემენტისთვის სიჭარბის პირობების მხოლოდ გრაფიკული რეალიზება. არამარკირებული ელემენტი | (შესაბ. —) ძვეს შვეულ შესაბ., ჰორიზონტალურ შუახაზზე.

გ) **კომბინატორიკა**: თუ ორი ელემენტი მარცხენა ან მარჯვენა მხარეზე ეხება ერთმანეთს, მათ შორის ინტერვალი რჩება: $\mathcal{A} + \mathcal{C} \rightarrow \mathcal{G}$; $\mathcal{P} + \mathcal{D} \rightarrow \mathcal{N}$; $\mathcal{F} + \mathcal{N} \rightarrow \mathcal{H}$; ამას გარდა: $\cup + | \rightarrow \mathcal{J}$; $\mathcal{L} \rightarrow \mathcal{L}$; $\mathcal{X} \rightarrow \mathcal{X}$; $\mathcal{B} \rightarrow \mathcal{B}$. მოგვიანო(?) ვარიაცია: $\mathcal{L} \rightarrow \mathcal{L}$; $\mathcal{A} \rightarrow \mathcal{A}$; $\mathcal{P} \rightarrow \mathcal{P}$

დ) თუ ელემენტი \mathcal{C} ან \mathcal{D} (ამ მდებარეობაში) ღიაა, მის ბოლოს ებმის წანაზარდები: $\mathcal{C} \rightarrow \mathcal{C}$; $\mathcal{D} \rightarrow \mathcal{D}$; $\mathcal{C} \rightarrow \mathcal{G}$; $\mathcal{D} \rightarrow \mathcal{N}$.

ასო-ნიშნების აღწერა:

\mathcal{C}	ან	\mathcal{C} , — მარცხ., — მ	1
\mathcal{L} \mathcal{L}	ბან	, — დ, \mathcal{C} მ	2
\mathcal{L} \mathcal{L}	გან	, — მარცხ., — დ, მარცხ.	3

Ծ	დონ	Ը, Ծ, — მარცხ., — მ,	4
Դ	ენ	, — მარცხ., მარცხ.	5
Դ Դ	ვინ	, — მარცხ., მარცხ., — შ,	6
Զ	ზენ	, — მარცხ., Ծ დ	7
Ի Ի	ეჲ (ე̄)	, — შ	8
Թ	თან	, — შ, Ը	9
Դ	ინ	, — მარცხ.	10
Կ	კან	, დ, Ծ დ	20
Զ	ლას	, — მარცხ., , მარცხ., Ծ დ	30
Զ	მან	, — მარცხ., — შ	40
Ը	ნარ	, — მ, Ը მარჯ., დ	50
Ն Ծ	იოტა (ა)	Ծ	60
Ձ	ონ	Ը, Ծ, Ը დ	70
Ս	პარ	, — მარცხ., მ, Ը მარჯ.	80
Պ Պ	ჟან	, — მარცხ., Ը მ	90
Խ	რაე	, Ը მარცხ., Ը მარჯ.	100
Լ	სან	, მარჯ.	200
Ը	ტარ	, Ծ მ, — დ	300
Պ	ჰე		
Ձ Գ	უნ	, Ը შ (მე-2 ნაწილი)	400
Փ Փ	ფარ	, Ը მ, Ծ მ	500
Ի	ქან	, —	600
Ո	ღან	, Ը მარჯ., დ	700
Պ Գ	ყარ	, Ը მ	800
Ձ Կ	შინ	, Ը მ, Ը დ	900

h	ჩინ	, — შ, დ	1000
C G	ცან	C	2000
ძ	ძილ	, C დ, — შ	3000
β F	წილ	, D მ, D შ	4000
ბ S	ჭარ	C მ, C დ, D დ	5000
E	ხან	, — შ, — დ, მ	6000
ყ	კარ	?	7000
X Y	ჯან	?	8000
ღ	ჰაე	, U მარჯ., — მარცხ., მარცხ.	9000
ჭ	ჰოე (ოჰ)	, — შ, დ, C დ, D მ	10.000

განმარტებები ასო-ნიშნებისათვის:

გან, ვინ, ემ, ცან და წილ: მარჯვენა გვერდითი ხაზები უგულვებლევადი (L, H, Z, F). აღწერა პრობლემატურია (ონის შემთხვევაშიც), რადგან ეს ელემენტები ამკარად არასდროსაა დისტინქციური.

დონ: პატარა შვეული შემაკავშირებელი ხაზი შესაძლოა უგულვებლყოფილ იქნას; შდრ. U ბოლნისის წარწერაში.

ნარ: ო სიმაღლისათვის იხ. ზემოთ.

იოთა (ა): მეორე კორექტული ვარიანტის აღწერა ვერ შეეძელი.

ჭარ: ასო-ნიშნის როგორც ზედა, ისე ქვედა ნახევარი შესაძლოა აღიწეროს ან როგორც წაგრძელებული ნახევარკალი, ან როგორც ღია რკალი (იხ. ზემოთ წერის წესები). ზემოთ შერჩეული კომპრომისი ეყრდნობა დაკვირვებას, რომლის მიხედვით ქვედა რკალი მეტწილად დახურულია.

კარისთვის და ჯანისთვის: ეს ორი ასო-ნიშანი შესაძლოა წარმოდგენილ იქნას პრაქტიკულად მხოლოდ ad-hoc-აღწერის მეშვეობით. ელემენტების სახეობა და კომბინატორიკა ერთადერთია და განუმეორებელი, და კერძოდ, X-ის შემთხვევაში დახრილი ხაზი (იხ. ზემოთ) და Y-ის შემთხვევაში შუა შვეული ხაზები არ არსებობს (? შდრ. სქოლიო 21).

ჰოე: მის აღსაწერად საჭიროა 5 მახასიათებელი, სხვა შემთხვევაში შესაძლებელია ყველა ასო-ნიშნის აღწერა 1-4 მახასიათებლით. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ემ (წ) და ჰოე შემოტანილია ბერძნული ანბანის გავლენით, რაც მათი შეზღუდული გამოყე-

ნებიდან მომდინარეობს: *ეე* (ჲ) ბერძნული Η-ს მსგავსად ჰ-ს ადგილზე გვხვდება (ახლა ის ბოლოში დგას; შდრ. ჯავახიშვილი 1926 [1949]: 150; 200 შემდ.; წერეთელი 1949: 70) და აღნიშნავს თანამიმდევრობას *ეე* (ჲ) (ე-ფუძეების ბრუნებაში); ჰოე გამოიყენება (ასევე ბერძნული) წოდებითის ნაწილაკთან (რომელიც ასევე საფუძვლად უდევს წოდებითის (ვოკატივის) დაბოლოებას -ო; შდრ. თოფურია 1935; კიზირია 1963). ომეგას მნიშვნელობისათვის შდრ. გამოცხ. 1,7 Ἐγὼ εἶμι τὸ ἄλφα καὶ τὸ ᾠ, λέγει χύριος ὁ θεός; 1,17 Ἐγὼ εἶμι ὁ πῶτος καὶ ὁ ἔσχατος. (დანარჩენი იხ. სქოლიო 21).

ასომთავრულის კანონზომიერებებისა და ზემოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ელემენტების აღწერა, რომელიც დეტალებში უეჭველად კვლავაც შესაძლოა და სავალდებულოა შესწორდეს და შეივსოს, დაზუსტებული ფორმულირებაა ცნებისა „სტილიზირებული ხელწერა“. ის, რომ ასომთავრული მეტისმეტად სტილიზირებულია, ვიდრე არმაზის ბილინგვის დაწერილობა, ან მსგავსი წარწერები, ჩემი აზრით, აშკარაა. ისტორიული თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ასომთავრული და ბერძნული მაიუსკული ცოტა მოგვიანებით გამოყენებული ანბანების (*ნუსხურისა* და *მხედრულის*) საპირისპიროდ ანალოგებს გამოაჩენენ, და რომ ჯერ კიდევ ცოტა უფრო ადრე გამოთქმული ვარაუდი შეიძლება თითქმის გამყარდეს: ელემენტები მსგავსია; „დახრილი ხაზის“ მდებარეობა ქართულ ანბანში (ერთი გამონაკლისით) არ არსებობს, სამაგიეროდ კი, არის ღია ნახევარრკალი; ქართული ასო-ნიშნების კომპლექსურობა ხშირად უფრო დიდია (ალბათ, ქართული ასო-ნიშნების დიდი რიცხოვნობის გამო), რომელიც მიიღწევა განსაკუთრებით მეტწილად შვეული ხაზით გაყოფილი ორმაგი ველის ჩართვით, ერთი ველის ნაცვლად, რომელიც გეომეტრიული მიმართებებით განისაზღვრება (შდრ. სქოლიო 10); ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი კი არის „კონსტრუირების“ ანალოგია, როგორც ის უპირველეს ყოვლისა სიჭარბის და სხვა პირობებში ვლინდება. ამდენად, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, საქმე ეხება ძველი ანბანის სტილიზირებას, ერთი ან რამდენიმე ანბანის შემქმნელის კონსტრუქციულ მოღვაწეობას – თუ ორივეს ერთად.¹⁶

16 წერეთელი (1949: 69) ფიქრობს მსგავსებაზე ბერძნულსა და ქართულ ანბანებს შორის: „Даже в тех случаях, когда отдельные буквы имеют совершенно различные начертания, общий характер знаков одинаковы.“ – ვგონებ, მოსაზრება ბერძნული ანბანის მიერ დაწერილობის გავლენაზე (იხ. ზემოთ) არ უნდა იყოს შეთავსებადი ივანე ჯავახიშვილის შეხედულებასთან, რომლის მიხედვითაც პალეოგრაფიული თვალსაზრისით ადრეული ქართული წარწერები „ისეთი მაღალხარისხოვანი პალეოგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ“ (ძიძიგური 1974: 266), რომ მათ დამწერლობის სულ მცირე რვასაუკუნოვანი ისტორია უნდა ჰქონოდათ. ჩემთვის უფრო დამაჯერებელია პირველი ალტერნატივა. მაგრამ ამით ქართული ანბანის ასაკზე (გარკვეული თვალსაზრისით) ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი.

2. ასო-ნიშანთა თანმიმდევრობისათვის ანბანის ბოლო ნაწილში

ვინაიდან ასო-ნიშანთა თანმიმდევრობა ძველია და მას მნიშვნელობა ჰქონდა (რიცხვების ნიშნების გამო), ინტერესს იწვევს ბერძნული ანბანის ბოლოს თანდართული რიგის კვლევა თანმიმდევრობის პრინციპის თვალსაზრისით. განსაკუთრებით საქმე ეხება ასო-ნიშნებს კარიდან ჯანამდე, რაც უცხოა ბერძნული ანბანისთვის.¹⁷ ამოვდივარ მოსაზრებიდან, რომ ის, ვინც ასომთავრულს არსებული ფორმა მისცა, იცნობდა ბერძნულ სასკოლო განათლებას და, შესაბამისად, აგრეთვე ერკვეოდა კლასიკური ენების ფონეტიკაში. ეს ფონეტიკა ცნობს თანხმოვანთა სამ ჯგუფად კლასიფიკაციას: ყრუ ფშვინვიერ, ყრუ მკვეთრ და მჟღერ თანხმოვნებად (ლათინური ტერმინები: Aspirata, Tenues, Media). საარტიკულაციო ადგილის მიხედვით განსხვავება სულ მცირე რუდიმენტულად ცნობილი იყო,¹⁸ მაგრამ დიონისე თრაკიელის ΠΕΡΙ ΣΤΟΙΧΕΩΝ მე-6 თავის შესავალში კლასიფიკაცია ასე გამოიყურება: 17 თანხმოვნიდან 8 ἥμισυαα, კერძოდ, 3 διπλαῖ (ζ (σ + δ), ξ (κ + σ), ψ (π

მი. ისტორიულად განსაკუთრებით საინტერესო ვარაუდს გამოთქვამს წერეთელი ასომთავრულის მიმართების შესახებ ნუსხურთან, რომელიც მოგვიანებით მე-9-11 სს.-ში ხმარებაში შემოდის: ნუსხური უფრო მეტად ავლენს მსგავსებას არამეულ ანბანთან, ვიდრე ასომთავრული. წერეთელს შესაძლებლად მიაჩნია, რომ არმაზის ბილინგვის გრაფემები, ასომთავრული და ნუსხური ოდესღაც არამეულიდან წარმოშობილი ანბანების განვითარების სხვადასხვა საფეხურებია. ასომთავრული ყველა შემთხვევაში ბერძნული ანბანის გავლენას ყველაზე მეტად ადასტურებს: „важно также, что это сходство в буквах мтаврული сказывается в гораздо большей степени, чем в строчном мхедრული. Объясняется это, повидимому, тем, что, являясь орнаментальным шрифтом и шрифтом официальных документов, мтаврული больше подвергалось изменениям, чем нусхური, употреблявшееся на первых порах в частном обиходе” (Церетели 1949: 69).

17 ჯავახიშვილი 1926 [1949: 200]) მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ფონეტიკური დაჯგუფებები ამ ჯგუფისთვის უცხო არ არის (მაგ. ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, კ). მაგრამ „ბგერათა ბუნებისდაგვარად რომ ყოფილიყვნენ ასოები მოთავსებულნი, ლ, ყ, ხ, კ და კ უნდა ერთ ჯგუფად და ერთიმეორის მიდევნულობით ყოფილიყვნენ დალაგებულნი. ის ვარაუდობს, რომ ასო-ნიშნები სხვადასხვა დროს უნდა ყოფილიყო დამატებული. პატარიძე (1972, 8: 147 შემდ.) ასო-ნიშანთა რიგითობის საკითხისათვის ასტროლოგიურ მიზეზებს განიხილავს. შდრ. ასევე Церетელი (1949: 66), რომელიც (იუნკერის მსგავსად; Junker 1926: 117 შემდ.) არამეული ოფონოლოგიისა და ქართული აფრიკატების ასო-ნიშნების წარმოქმნის თვალსაზრისით აღნიშნავს: „характерно также, что эти четыре аффрикаты в грузинском алфавите расположены вместе: ჩინ, ცან, [ძილ], წილ, ჭარ. Их разъединяет только ძ, который, кстати, по Юнкеру, тоже происходит от ჯ.“

18 არისტოტელე პოეტიკა 1456b31: ბგერები განსხვავდებიან στήμασιν τε τῶν στόματος καὶ τόποις καὶ διαστήται καὶ ψιλότητι καὶ μῦχει καὶ βραχύτητι, ἔτι δὲ ὀξύτητι καὶ βαρύτητι καὶ τῶν μέσῳ. ‘პირის ფორმისა და არტიკულაციის ადგილის მიხედვით, ასპირაციის და მისი არარსებობის, სიგრძისა და სიმოკლის, შემდეგ მაღალი, დაბალი და შუა მდებარეობის მიხედვით’ (Manfred Fuhrmann-ის თარგმანის მიხედვით).

+ σ)) და σ, და 4 ნარნარა თანხმოვანი; 9 თანხმოვანი არის ἄφωνα,¹⁹ 3 μέσα (β, γ, δ).²⁰

თუკი დავუშვებთ, რომ გლოტალიზებული თანხმოვნები ბერძნულ „ყრუ ხმულებს“ შეესაბამება და ქართულის ყრუ არაგლოტალიზებული თანხმოვნები ბერძნულ ფშვინვიერებს, მაშინ შესაძლოა შემდეგი რამ

19 ტერმინს ψιλόν განმარტავს არისტოტელე (De audibilibus 804b10): ὅσα γίγνονται χαλῆς τῆς τοῦ πνεύματος ἕξιολῆς [ბგერები], რომლებიც სუნთქვის ამოფრქვევის გარეშე წარმოიქმნება.

20 აქ, ალბათ მიზანშეწონებული იქნება ორიოდ სიტყვა ცნებაზე μέσων. შტაინ-ტალმა (Steinthal 1890-91 I: 258 არისტოტელეს და II: 198: შემდ. დიონისე თრაკიელის შესახებ საკითხს თავი ვერ გაართვა. თავდაპირველად „შუალედური მდებარეობის“ სხვადასხვა „ფონეტიკური“ განმარტება მისცეს. ამას ეხება არსებითად რობინზი (Robins 1958: 89). ის ამოდის ფ-ის ასპირაციისა და β-ს მუღერობის მარკირებიდან და ვინაიდან ანტიკური გრამატიკისათვის ეს ცნებები უცხო იყო, ჰგონია, რომ ბ განიმარტა როგორც π-ს „პლუს რაღაც“ და ამდენად, „არამათებულად გაანალიზდა და არაზუსტი ფონეტიკური ვარაუდი გამოითქვა, რაც π-ს და ფ-ს შორის შუაგზაზე იყო.“ მხოლოდ ჰოენიგსვალდმა (Hoenigswald 1954) მიუთითა მართებულ გზაზე, და μέσων „შუალედური“ შესაბ., μετάξ-ს „შუაში“ ტერმინოლოგიურ გამოყენებაზე გაამახვილა ყურადღება, ის ფიქრობს, რომ შესაძლებელია „indifferent“-ით („გაუსაზღვრელით“ ფშვინვის მიხედვით) ითარგმნოსო. ჩემი აზრით, ეს ჯერ კიდევ არ არის საკვებით ზუსტი დახასიათება, რადგან ის არამარკირებულების (აქ ორმაგ, პრივატიულ ოპოზიციაში) შთაბეჭდილებას აღძრავს. როგორც μετάξ-ს გამოყენებიდან გამომდინარეობს უდეტერი (neutrum) არსებითი სახელების შემთხვევაში (არისტოტელე, პოეტიკა 1458ა შემდ.: მამრობითი (ἄρῆνα) სახელები აღნიშნულია N, P, Σ დაბოლოებებით, დედრობითი (θῆλεα) A, H და Ω დაბოლოებებით, ხოლო μετάξ სახელებს ორივე ჯგუფიდან დაბოლოებები აქვს) და ტერმინი μέσων (διάνθεσις)-ის გამოყენებიდან საშუალი გვარის შემთხვევაში (– მოქმედებით და ვნებით გვარს ცალკეულს აქვს განსხვავებული დაბოლოება, მაგრამ საშუალი გვარი დაბოლოებას ორივე ჯგუფიდან იღებს) დეფინიციის მეთოდები ასე უნდა იქნას წარმოდგენილი: საქმე არ ეხება სამსაფეხურიან ოპოზიციას ასპირაციის განზომილებაში. მეტწილად ერთმანეთს უპირისპირდება, უპირველეს ყოვლისა, დას და ψιλόν და თითოეული განიმარტება თავისი ოპოზიციური ერთეულით (Aristoteles Sophistici elenchi 17911 შემდ. Ὁλως δ' ἐν τοῖς παρὰ τῆν λέξιν λόγοις ἀεὶ κατὰ τὸ ἀντιειμμενον ἔσται ἢ λῆσις ἢ παρ' ὅ ἔστιν ὁ λόγος. Οἷον εἰ παρὰ σύνθεσιν ὁ λόγος, ἢ λῆσις διελόντι, εἰ δὲ παρὰ διαίρεσιν, συνθέντι. πάλιν εἰ παρὰ προσηδῖαν ὀξείαν, ἢ βαρεῖα προσηδῖα λῆσις, εἰ δὲ παρὰ βαρεῖαν, ἢ ὀξείαν.). დასა და ψιλὰ ერთმანეთის მიმართ „თანაფარდ“ ოპოზიციაში არიან. ამასთან, ფიქსირდება მესამე კლასი, რომელიც განიმარტება ორი სხვა აქამდე არსებული კლასის მახასიათებლებით, რომლებიც უკვე განმარტებული იყო. ამ მნიშვნელობით ცნება „შუა“ შესაძლოა საკვებით აზრიანი იყოს: ψιλὰν-სთან μέσων ინაწილებენ ψιλὰτις მახასიათებელს, დასῶν-სთან ისინი ინაწილებენ სხვა მახასიათებელს, დასῶτις. ამასთან, ψιλὰτις გაგებული უნდა იყოს, როგორც არაფშვინვიერი, დასῶτις ალბათ როგორც „tense“ (დაძაბული, ინტენსიური). (უკანასკნელი საერთო მახასიათებლის ვარაუდი სწორედ ფშვინვიერებისა და მჟღერების ფრიკატივებში გადასვლით მტკიცდება.) ცნებას „მჟღერი“ ანტიკური თეორია არ იცნობს. დიონისე თრაკიელის მჟღერის, როგორც τῶν ψιλῶν დასῶτερον, τῶν დასῶν ψιλῶτερον განსაზღვრებაში კომპარატივი შესაძლოა შემაპირისპირებლად გაგებულიყო („რისადმი საპირისპიროდ“; იხ. Schwyzer 1950: 183).


შეგნიშნოთ: *ძ* არის შუალედური $\mu\epsilon\sigma\upsilon\chi$ ც-სთან ($\delta\mu\sigma$) და ψ -სთან ($\psi\mu\sigma\upsilon\chi$) მიმართებაში. ანალოგიურად დაჯგუფდა *ჩ* და *ჭ* ამ ჯგუფთან, მასთან მიკუთვნებული „მჟღერი“ ჯ ბოლოში დგას.²¹ ეს ბგერები ქართულის ბჰჰლ-ს ორმაგ [თანხმოვნებს] ქმნიან; ფონოლოგიური თვალსაზრისის მიუხედავად, გვაქვს $ც = თ + ს$, $ყ = დ + ზ$, $ჩ = თ + შ$, $ჯ = დ + ჟ$, $წ = ტ + ს$, $ჭ = ტ + შ$. შეძლებისდაგვარად ეს ანალიზი გამოხატულებას ჰპოვებს აგრეთვე ცალკეული ასო-ნიშნების სახელწოდებაში: ცან ისევე, როგორც სან, ჩინ, როგორც შინ, ჯან, როგორც ჟან (მაგრამ ჯილ როგორც წილ (*vs. ძენ*) და აგრეთვე არა წან და ჭან). ამ ჯგუფს გარს ერტყმის სპირანტები შინ და ხან, რომელთათვისაც ქართულში არ მოიძიება გლოტალიზებული ოპოზიციური შესატყვისი; ამ ჯგუფს კი გარს ერტყმის ყარ და ფარ, რომელთა შემთხვევაშიც, ისეთივე გლოტალიზაციის ოპოზიცია გვაქვს, როგორც აფრიკატებთან. მაგრამ საპირისპირო თანმიმდევრობით. თანმიმდევრობა ყარ, შინ, ჩინ, ცან, ძილ შესაძლოა გაგებულ იქნას, როგორც არტიკულაციის ადგილის მიხედვით შედგენილი რიგი, მებრუნებულად კი მიმდევრობა ძილ, წილ, ყარ, ხან, კარ. გან და ჰან, ალბათ, შესაძლოა შეტანილ იქნას ამ სქემაში:

21 ამრიგად, აღარაა რამდენიმე მჟღერის „შუაში“ დგომის საჭიროება: *ჟ* ამის გარეშეც უკვე სხვა ადგილასაა მოთავსებული, *ჯან*, ალბათ, არცთუ უმიზეზოდ ბოლოშია. თუ *ჯან*-ს მართლაც იმთავითვე χ -ის ფორმა ჰქონდა, რაც ვერ შევძელი ამომეკითხა აბულაძისა (1973) და მაჭავარიანის (1973) ნაშრომებში, პატარიძის მიხედვით (1972,2: 169 იხ. შემდ.; 3: 146) შესაძლოა საქმე ეხებოდეს „*crux decussata*“-ს სახელით ცნობილ ჯვარს, რომელიც ანბანის დასასრულს წარმოადგენდა, სანამ χ -ს *ჟ*-თი შეცვლიდნენ და ანბანის ბოლოში დასვამდნენ. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია, რომ *ჯ* ქართული ლექსემის ჯვარი თავიკიდური ასო-ნიშანია. (ალბათ, χ -ც „აკროფონულია“: ქართულად კარი ესადაგება χ -ის ფორმას (პატარიძე 1972,2: 172-177), რომელსაც აგრეთვე მრგვალი ვარიანტი უწუნდა ჰქონდეს; (პატარიძე 1972,3: 163). χ -ც ასევე შეიძლება მოვითავსოთ ამ მსჯელობის ფარგლებში: მისი მონაზულობა აშკარად სახელის ქრისტე გავლენითაა შექმნილი (შდრ. წერეთელი 1949: 70 შენ. 4). ჯვარი სხვა ანბანებსაც ასრულებს (მაგ. ლათინურში X); ვინაიდან ქართულ ანბანში χ შეუძლებელია ბოლო ასო-ნიშანი იყოს, პატარიძის მიხედვით (1972,3: 162), *ჯანისთვის* მეორე ჯვრის ფორმას იყენებდნენ.

ა ფ რ ი კ ა ტ ე ბ ი

ფ რ ი კ ა ტ ი ვ ე ბ ი

გლოტალიზაციის გარეშე მუღერების გარეშე



ბ, კ-ს განლაგებისათვის მათ სისტემატიურ ურთიერთმიმართებას შეიძლება გარკვეული როლი ეთამაშა; კ ახალ ქართულში ბ გახდა. უფრო დამაჯერებელია, რომ ქართული ანბანის „შემქმნელს“ სხვადასხვა პრინციპით ხელმძღვანელობდა, კერძოდ: კლასობრივი ერთიანობით და „ასპირაციის“ პრინციპით, და საერთოდ საარტიკულაციო ადგილის პრინციპით (შდრ. τῆπιος განმ. 18) და ბგერათა მსგავსებით. ის, რომ ასეთი მიდგომები ძველ ანბანთა შექმნისას გარკვეულ როლს თამაშობენ, შესაძლებელია დადასტურდეს სხვადასხვა მაგალითზე. შევადაროთ, მაგალითად, ასო-ნიშანთა მიმდევრობას გლაგოლიცაში: *b - v, ž - dz - z, i - j, št - c - č - š, ě - ju - ja - je, ě - ρ - jě - jρ*. იმას, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა ამ მიმართებით გრამატიკის თეორიას, აჩვენებს ძველი ირლანდიური ოგამური ანბანის აგებულება, რომელიც რომაელი გრამატიკოსის ელიუს დონატუსის ცოდნას წინაპირობად იყენებს (შდრ. Kuryłowicz 1961).

დამოწმებანი

- აბულაძე, ილია: ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი. თბილისი (მეცნიერება) 1973
- თოფურია, ვარლამ: წოდებითი ბრუნვისათვის. კულტურული აღმშენებლობა 1935, №1, 17-28; ამჟამად: ვ. თოფურია (რედ.) სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში I. თბილისი (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა) 1956, 36-47
- კიზირია, ანტონ: მიმართვა ძველ ქართულში (Résumé: Обращение в древнегрузинском языке). ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები 3 (1963), 19-27
- მაჭავარიანი, ელენე: ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V-XIII სს.) (Résumé: Художественные особенности заглавного письма "Асомтаврули" по грузинским рукописям (V-XIII) вв.). მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი 2 (1973), 236-260
- მოსიავა, ა.-ზ. ხოჯავა: საანბანო წიგნის შედგენის ძირითადი პრინციპები. ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ ახალი რედაქციის პროექტითურთ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტი). თბილისი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა) 1955
- პატარიძე, რამაზ: ქართული ასომთავრული. მნათობი 1972, 1, 169-181; 2, 165-182; 3, 139-166; 6, 186-192; 7, 151-175; 8, 145-154
- ძიძიგური, შოთა: ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები. მე-2 გამოცემა. თბილისი (მერანი) 1974
- წერეთელი, გიორგი: უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან (რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე): Древнейшие грузинские надписи из Палестины). თბილისი 1960 [The most ancient Georgian inscriptions in Palestine. ბედი ქართლისა 11-12 (No. 36-37) (1961), 111-130]
- ჯავახიშვილი, ივანე: ქართული პალეოგრაფია (ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია). თბილისი 1926
- Deeters, Gerhard: Das Alter der georgischen Schrift. Oriens Christianus 39 (1955), 56-65
- Eden, Murray: On the formalization of handwriting. Proceedings of Symposia in Applied Mathematics 12 (Structure of Language and its Mathematical Aspects. Ed. R. Jakobson). Providence/ Rhode Island (American Mathematical Society) 1961, 83-88
- Harder, Richard: Die Meisterung der Schrift durch die Griechen. H. Berve (ed.): Das neue Bild der Antike. Leipzig (Koehler & Amelang) 1942, 91-

- 108; გადაბეჭდილია კრებულში: Gerhard Pfohl (ed.): Entstehung und Entwicklung der griechischen Schrift (Wege der Forschung LXXXVIII). Darmstadt (Wissenschaftliche Buchgesellschaft) 1968
- Hoenigswald, H.M.: Media, Neutrum und Zirkumflex. Sprachgeschichte und Wortbedeutung. Festschrift Albert Debrunner gewidmet von Schülern, Freunden und Kollegen. Bern (Francke) 1954, 209-212
- Junker, Heinrich F.J.: Das Awestaalphabet und der Ursprung der armenischen und georgischen Schrift. *Caucasica* 2 (1925), 1-92; 3(1926), 82-139
- Kuryłowicz, Jerzy: Note sur l'ogam. *Bulletin de la Société de linguistique de Paris* 56 (1961), 1-5
- Oelsner, Joachim: Bemerkungen zur schriftgeschichtlichen Einordnung der Inschriften aus Armazi. *Wissenschaftliche Zeitschrift. Gesellschafts- und Sprachwissenschaftliche Reihe. Friedrich-Schiller-Universität Jena.* 12 (1972), 429-438
- Robins, R.H.: Dionysius Thrax and the western grammatical tradition. *Transactions of the Philological Society* 1957 [Oxford 1958], 67-106
- Salia, Kalistrat: Note sur l'origine et l'âge de l'alphabet géorgien. *Bedi Kartlisa* 15-16 (No. 43-44), 4-18
- Schwyzler, Eduard: Griechischer Grammatik auf der Grundlage von Karl Brugmanns Griechischer Grammatik. Zweiter Band: Syntax und syntaktische Stilistik. Vervollständig und herausgegeben von Albert Debrunner. (Handbuch der Altertumswissenschaft II 1,2). München (Beck) 1950
- Steele, Arthur Donald: Über die Rolle von Zirkel und Lineal in der griechischen Mathematik. *Quellen und Studien zur Geschichte der Mathematik, Astronomie und Physik. Abteilung B: Studien. Band 3* (1934), 287-369.
- ნაწილობრივ გადაბეჭდილია კრებულში: Oskar Becker (ed.): *Zur Geschichte der griechischen Mathematik (Wege der Forschung XXXIII)*. Darmstadt (Wissenschaftliche Buchgesellschaft) 1965, 146-202
- Steinthal, H.: *Geschichte der Sprachwissenschaft bei den Griechen und Römern. Band I und II. 2. Aufl. Berlin 1890-1891*
- Tarchnichvili, M.: Quelques remarques sur l'âge de l'alphabet géorgien. *Bedi Kartlisa* 4-5 (No. 30-31) (1958), 21-28
- Tsereteli, G. The most ancient Georgian inscriptions in Palestine. *Bedi Kartlisa* 11-12 (No. 36-37) (1961), 111-130
- Dsidsiguri, Schota: *Die georgische Sprache. Kurzer Abriss. Übers. von. G. Pätsch. Helle (Niemeyer) 1973*
- Гусева, Е.К.: К вопросу о количественном подходе к анализу особенностей буквенных знаков (на материале русских графем). А. А. Зализняк (ред.): *Проблемы грамматического моделирования (АН СССР. На-*

учный совет по комплексной проблеме “Кибернетика”). Москва (Наука) 1973, 222-228

Шанидзе, Акаки: Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов. Труды музея истории Азербайджанской ССР 2 (Материалы по истории Азербайджана) (1957), 33-43

Церетели, Георгий: Армазская билингва. Тбилиси 1941

id.: Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита. Эпиграфика Востока 2 (1948), 90-101; 3 (1949), 59-71.

*გერმანულიდან თარგმნა
ნინო ქიმერიძემ
ივანე ჯავახიშვილის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*